ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: Caucasiology / კავკასიოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კავკასიოლოგიის ბაკალავრი / BA in Caucasiology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ESTC კრედიტი. პროგრამის 240 ESTC კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ESTC კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. 120 ESTC კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (კავკასიოლოგის კომპეტენციის საგნები – სავალდებულო ყველა მოდულისათვის – 35 კრედიტი; მოდულისათვის სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი; არჩევითი კურსები ყველა მოდულისათვის – 25 კრედიტი; საბაკალავრო ნაშრომი – 10 კრედიტი). 60 ESTC კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ESTC კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის.

სწავლების ენა: ქართული ენა

სწავლის მიზანი:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია და კომპლექსურად შეისწავლის კავკასიის რეგიონს –კავკასიაში გავრცელებულ ენებს (იბერიულ–კავკასიურ ენებს: ადიღეურს, აფხაზურს, უბიხურს, ჩეჩნურს, ინგუშურს, ბაცბურს, ხუნძურს, უდიურს, თაბასარანულს, ლაკურს და არაიბერიულ–კავკასიურ ენებს: აზერბაიჯანული, ოსური); იბერიულ–კავკასიურ, არეალურ და პალეოკავკასიური ლინგვისტიკის საფუძვლებს; კავკასიის ხალხთა ისტორიასა და კულტურას, კავკასიური ცივილიზაციის ტრანსფორმაციებს ეპოქათა მიხედვით, კულტურული ანთროპოლოგიის საკითხებს (კავკასიის ეთნოლოგია, კავკასიის არქეოლოგია, კავკასიის ხალხთა ფოლკლორი) და ფიზიკური ანთროპოლოგიის საკვანძო პრობლემებს. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა 7 მოდულითაა წარმოდგენილი: 1. აფხაზთმცოდნეობა; 2. ადიღეური (ჩერქეზული); 3. ჩეჩნური (ნახური); 4. დაღესტნური; 5. ოსთმცოდნეობა; 6. აზერბაიჯანმცოდნეობა; 7. კავკასიის ხალხთა ისტორია.
კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კავკასიოლოგიის, როგორც რეგიონმცოდნეობის დარგში ფართო და ზოგადი ცოდნის საფუძველზე მოამზადოს კავკასიოლოგი (ლინგვისტი, ისტორიკოსი), რომელსაც ექნება დარგობრივი კომპეტენციები და

უნარები, რაც უზრუნველყოფს მის სამომავლო დასაქმებას შრომით ბაზარზე. შრომით ბაზარზე ის შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, ტურისტულ ფირმებში, სხვადასხვა კომპანიებში ყველა იმ თანამდებობაზე, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის; ასევე თარჯიმნებად, რისი მოთხოვნილებაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები;

სწავლის შედეგები:
ცოდნა-გაცნობიერება:
კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს ცოდნას კავკასიის ისტორიული რეგიონისა და ეთნოლინგვისტური თავისებურებების შესახებ. იგი განსაზღვრავს კავკასიური ცივილიზაციის ძირითად მახასიათებლებს, შეაფასებს კავკასიას, როგორც ისტორიულად ცივილიზაციათა შეხვედრის ადგილს, გამოკვეთს იბერიულ-კავკასიურ, პალეოკავკასიურ და არეალურ-კავკასიურ კომპონენტებს, აღწერს აბორიგენ და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შემოსულ ეთნოსებს, ასევე მიგრირებულ ეთნოსებს, მიგრაციათა გამომწვევ მიზეზებს. ბაკალავრი შეაფასებს კავკასიაში გავრცელებულ რელიგიათა ურთიერთმიმართების საკითხებს, ერთიან კულტურულ სივრცეს, მის ლინგვოკულტურულ და ისტორიულ მახასიათებლებს.

ბაკალავრს პროგრამის გავლის შედეგად ეცოდინება ერთ-ერთი კავკასიური ენა **A2** დონეზე (მოდულის ძირითადი ენა)**,** მოდულით გათვალისწინებული სხვა ენები კი – **A1** დონეზე, კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურული ანთროპოლოგიის კომპლექსური საკითხები.

ბაკალავრი გააცნობიერებს მიღებული ცოდნის შედეგებს, შეაჯამებს კავკასიური ცივილიზაციის, ტრადიციული კულტურისა და ლინგვისტური შედგენილობის თავისებურებებს, შეადარებს მას სხვა ცივილიზაციასთან, მოახდენს იბერიულ-კავკასიური, პალეოკავკასიური და არეალურ-კავკასიური ეთნოლინგვისტური ერთეულების კლასიფიცირებას. იგი ასევე გააცნობიერებს სუბსტრატულ, სუპერსტრატულ და ადსტრატულ მოვლენებს კავკასიის არეალში, განიხილავს თითოეულის თავისებურებას, განსაზღვრავს მოსული ეთნოსებისა და მათი ენების გავლენებს აბორიგენ ეთნოსებსა და ენებზე. წარმოადგენს კავკასიის ერთიანობის იდეის ისტორიულ ჭრილებს, განმარტავს მათ ისტორიულ წინაპირობებსა და თავისებურებებს.

ბაკალავრი როგორც ისტორიული, ასევე ლინგვისტური ძირითადი ფაქტების შეცნობით, განსაზღვრითა და დამახსოვრებით აღწერს და მოახდენს კავკასიოლოგიის, როგორც ლინგვისტური, ასევე ისტორიული პრობლემატიკის კლასიფიკაციას; იგი შეძლებს ფაქტების ურთიერთმიმართებას და ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების ანალიზს, მიღებული ცოდნის ახალ ვითარებაში გამოყენებას, საკითხისადმი კრიტიკულ მიდგომას.

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე კავკასიოლოგიის ბაკალავრს აქვს რეგიონმცოდნის და, კერძოდ, ლინგვისტური ან ისტორიული სფეროების ფართო და კომპლექსური ცოდნა, ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს კავკასიოლოგიის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ერთ–ერთ კავკასიურ ენას A2) და ერთ–ერთ ევროპულ ენას B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით, იცის რომელიმე კლასიკური ან აღმოსავლური ენის საფუძვლები აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

კავკასიოლოგიის ბაკალავრს, როგორც ლინგვისტს, ასევე ისტორიკოსს შეუძლია ზოგადად რეგიონმცოდნეობის და, კერძოდ, ლინგვისტის ან ისტორიკოსის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგის ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით, წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამით მიღებული შესაბამისი ფართო ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური საკითხებისა და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი. კავკასიოლოგიის ბაკალავრს როგორც ლინგვისტის, ასევე ისტორიის სპეციალობით შეუძლია ერთ–ერთი კავკასიური ენის და ერთ–ერთი ევროპული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ერთ–ერთ კავკასიურ და ერთ–ერთ ევროპულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ეფექტურად გამოყენება.

ბაკალავრი შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად. შეაფასებს რეალურ სიტუაციას ეთნოლინგვისტური პრობლემების განხილვის დროს, დასახავს არსებული ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლის პრესპექტივას. შეარჩევს შესაბამის და შესაფერის მიდგომას საკითხისადმი, მოახდენს ცოდნის დემონსტრირებას და მსმენელთა დარწმუნებას არგუმენტირებული მსჯელობით. შეძლებს ისტორიული თუ ლინგვისტური მასალის ილუსტრირებას; დაუკავშირებს არსებულ პრობლემურ საკითხებს სხვა მსგავს ან ანალოგიურ სიტუაციებს, დაძებნის პრობლემის გადაჭრის გზებს.

დასკვნის უნარი:

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრს შეუძლია ლინგვისტური და ისტორიული საკითხების ანალიზი, პრობლემათა მიზეზებისა და შედეგების დიფერენცირება, იდენტური თემატიკის კატეგორიზაცია, ურთიერთშედარება და დასკვნის გამოტანა საერთოსა და განსხვავებულის შესახებ, კონკრეტული ლინგვისტური თუ ისტორიული საკითხის კვლევა.

საკითხთა სინთეზირებისას ბაკალავრი მხედველობაში მიიღებს ლინგვისტური კავკასიოლოგიისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის საკვანძო, გადამკვეთ საკითხებს, მოახდენს დაკავშირებულ პრობლემათა კომბინირებას.

კავკასიოლოგიის ბაკალავრს როგორც ლინგვისტის, ასევე ისტორიკოსის სპეციალობით შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მინიმალური ზედამხედველობის /ხელმძღვანელობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

კომუნიკაციის უნარი:

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრს შეეძლება კავკასიოლოგიაში არსებულ ლინგვისტურ თუ ისტორიულ პრობლემატიკაზე და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ რეფერირება, წერილობითი ანგარიშის მომზადება და ამ ინფორმაციის გადაცემა რომელიმე უცხო ენაზე, მათ შორის ერთ–ერთ კავკასიურ ენაზე. ბაკალავრი შეძლებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საკომუნიკაციოდ. იგი შეძლებს არსებულ პრობლემებზე კამათში ჩართვას, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბებას, არგუმენტირებას, პრეზენტაციას და განსხვავებული მოსაზრებების შეჯამებას.

კავკასიოლოგიის ბაკალავრს შეუძლია ეფექტური ურთიერთობა სამუშაო ჯგუფში, პროფესიულ კონტექსტში სხვადასხვა ტიპის დისკუსიებში მონაწილეობა.

კავკასიოლოგიის ბაკალავრს შეუძლია მაპროფილებელ (ერთ–ერთ კავკასიურ ენაზე) და ერთ–ერთ ევროპულ ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება. შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

სწავლის უნარი:

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრი შეძლებს საკუთარი ცოდნის შეფასებას, შეარჩევს შემდგომი სწავლის მიმართულებას, გააკეთებს კრიტიკულ დასკვნებს მიღებული ცოდნის შესახებ. ბაკალავრს აქვს უნარი თვალი ადევნოს დარგში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს.

კავკასიოლოგიის ბაკალავრს, როგორც ლინგვისტის, ასევე ისტორიკოსის სპეციალობით აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ და პროფესიონალ წევრებთან და ხელმძღვანელთან კონსულტაცია. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული ინსტრუქციების შესაბამისად. შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:

კავკასიოლოგიის ბაკალავრს, როგორც ლინგვისტის, ასევე ისტორიკოსის სპეციალობით კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიურ პატიოსნებას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; პატივს სცემს დემოკრატიულ ფასეულობებს და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.
კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად ბაკალავრს აქვს კავკასიური ეთნოკულტურისადმი ტოლერანტული განწყობა. ბაკალავრი სწორად განსაზღვრავს კავკასიის, როგორც რეგიონის მნიშვნელობას ევროპისა და აზიის გასაყარზე; იგი შეაფასებს კავკასიის ინტეგრაციის ვექტორებს და გამოკვეთს საქართველოს როლს როგორც ცენტრალური კავკასიის ინტეგრაციაში, ასევე შემდგომ მთლიანი რეგიონის ინტეგრაციაში. განსაზღვრავს ინტეგრაციის ისტორიულ და თანამედროვე წინაპირობებს, გამოკვეთს ინტეგრაციაში ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლების გვერდით კულტურულ-ცივილიზაციური მახასიათებლის მთავარ როლს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ.

ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

დასაქმების სფეროები:

საბაკალავრო პროგრამის ათვისების შემდეგ კავკასიოლოგიის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში და ყველა იმ დაწესებულებაში, რომლებშიც არსებობს აღნიშნული დარგის სპეციალისტის საჭიროება. ასევე, შესაძლებელია დასაქმდეს გამომცემლობებში, ტურიზმის სფეროში, მასმედიაში და ა.შ.

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი – ცირა ბარამიძე

დამატებითი ინფორმაცია: ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა II-III სემესტრი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური

რესურსების შესახებ:

1. ბარამიძე ცირა– სრული პროფესორი
2. კვიციანი ჯონი– სრული პროფესორი
3. ფარეულიძე როსტომი– ასოცირებული პროფესორი
4. ჩუხუა მერაბი – ასოცირებული პროფესორი
5. მაჭავარიანი ნანა – ასოცირებული პროფესორი
6. აბაშია რევაზი – ასისტენტ პროფესორი

მოწვეული პროფესორები

1. ჯანაშია რუსუდანი
2. ბითაძე ლია
3. ზედელაშვილი სარდიონი
4. ასლანოვა ელვირა
5. გეგუჩაძე ლეილა
6. მამისიმედიშვიული ხვთისო
7. მახაური ტრისტანი
8. შაყულაშვილი გიორგი

ენების ცენტრი

1. უჯუხუ თამარი
2. ავიძბა ლეილა

მომიჯნავე სპეციალობებიდან

1. ქუთელია ნათელა
2. ლიჩელი ვახტანგი
3. გოცირიძე გიორგი
4. სიხარულიძე ქეთევანი
5. ქურდოვანიძე თეიმურაზი
6. ჟუჟუნაშვილი გიორგი

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დანართის სახით; იხ. დანართი № 3

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: აუდიტორეიები თსუ I დაII კორპუსებში (აზერბაიჯანოლოგიის კაბინეტი II კორპუსში – 2 ოთახი), არნ. ჩიქობავას კაბინეტ–მუზეუმი – 5 ოთახი (ჭავჭავაძის N19); 4 კომპიუტერი, 3 პრინტერი, ბიბლიოთეკა (კაბინეტ მუზეუმისა და კავკასიოლოგიის ინსტიტუტის).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა : თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური

პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

დამატებითი პროგრამის დასახელება: Caucasiology / კავკასიოლოგია

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ESTC კრედიტი. 50 ESTC კრედიტი ეთმობა სავალდებულო საგნებს, 10 ESTC კრედიტი არჩევითს.

სწავლების ენა: ქართული ენა

სწავლის მიზანი: დამატებითი პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს იბერიულ-კავკასიური ენების, ასევე კავკასიაში გავრცელებული არაიბერიულ–კავკასიური ენების – ოსურის, აზერბაიჯანულის და კავკასიის ისტორიის საკვანძო საკითხების ცოდნა. პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს ერთ–ერთი კავკასიური ენა **A2** დონეზე, რაც მას მისცემს საშუალებას, დაამყაროს კომუნიკაცია, თარგმნოს, განუვითაროს კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურის კვლევის უნარ–ჩვევები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

ცოდნა და გაცნობიერება

კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს ცოდნას კავკასიის ისტორიული რეგიონისა და ეთნოლინგვისტური თავისებურებების შესახებ. იგი განსაზღვრავს კავკასიური ცივილიზაციის ძირითად მახასიათებლებს, შეაფასებს კავკასიას, აღწერს აბორიგენ და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შემოსულ ეთნოსებს. ასევე მიგრირებულ ეთნოსებს, მიგრაციათა გამომწვევ მიზეზებს. ბაკალავრს პროგრამის გავლის შედეგად ეცოდინება ერთ-ერთი კავკასიური ენა **A2** დონეზე (მოდულის ძირითადი ენა), ეცოდინება აგრეთვე კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურული ანთროპოლოგია სრულყოფილად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტი შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად. შეარჩევს შესაბამის და შესაფერის მიდგომას საკითხისადმი, მოახდენს ცოდნის დემონსტრირებას და მსმენელთა დარწმუნებას არგუმენტირებული მსჯელობით. შეძლებს ისტორიული თუ ლინგვისტური მასალის ილუსტრირებას; დაუკავშირებს არსებულ პრობლემურ საკითხებს სხვა მსგავს ან ანალოგიურ სიტუაციებს, დაძებნის პრობლემის გადაჭრის გზებს.

კომუნიკაციის უნარი:

სტუდენტს შეეძლება კავკასიოლოგიაში არსებულ ლინგვისტურ თუ ისტორიულ პრობლემატიკაზე რეფერირება, წერილობითი ანგარიშის მომზადება და ამ ინფორმაციის გადაცემა რომელიმე უცხო ენაზე, მათ შორის ერთ–ერთ კავკასიურ ენაზე. შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საკომუნიკაციოდ. მას შეუძლია არსებულ პრობლემებზე კამათში ჩართვა, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება, არგუმენტირება, პრეზენტაცია და განსხვავებული მოსაზრებების შეჯამება.

დასკვნის უნარი: სტუდენტს შეუძლია ლინგვისტური და ისტორიული საკითხების ანალიზი. ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტირებულად, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები. საკითხთა სინთეზირებისას სტუდენტი მხედველობაში მიიღებს ლინგვისტური კავკასიოლოგიისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის საკვანძო, გადამკვეთ საკითხებს, მოახდენს დაკავშირებულ პრობლემათა კომბინირებას.

სწავლის უნარი: სტუდენტს შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის მიმართულების შერჩევა. აკეთებს კრიტიკულ დასკვნებს მიღებული ცოდნის შესახებ. აქვს უნარი, ადევნოს თვალი დარგში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს.

ღირებულებები: სტუდენტს ჩამოუყალიბდება კავკასიური ეთნოკულტურისადმი ტოლერანტული განწყობა. იგი შეძლებს სწორად განსაზღვროს კავკასიის, როგორც რეგიონის მნიშვნელობა ევროპისა და აზიის გასაყარზე; იგი შეაფასებს კავკასიის ინტეგრაციის ვექტორებს და გამოკვეთს საქართველოს როლს როგორც ცენტრალური კავკასიის ინტეგრაციაში, ასევე შემდგომ მთლიანი რეგიონის ინტეგრაციაში. განსაზღვრავს ინტეგრაციის ისტორიულ და თანამედროვე წინაპირობებს, გამოკვეთს ინტეგრაციაში ეკონომიკური და პოლიტიკური მახასიათებლების გვერდით კულტურულ-ცივილიზაციური მახასიათებლის მთავარ როლს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განმატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი – ცირა ბარამიძე

დამატებითი ინფორმაცია: დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადაა **III** სემესტრი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **კავკასიოლოგიის ინსტიტუტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კავკასიოლოგია**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **სრული პროფესორი ცირა ბარამიძე**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: № **57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

საფაკულტეტო კურსები / მოდულები													
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)													
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდის მოსამზადება	დასკვნითი გამოცდის მოსამზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამაზ გამყრელიძე ირინე მელიქიშვილი თინათინ ბოლქვაძე რუსუდან ასათიანი ნათელა ქუთელია ეთერ სოსელია
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან გოჩიტაშვილი გიული შაბაშვილი

												ნინო შარაშენიძე
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	დემურ ჯალაღონია მამუკა ბიჭაშვილი ირაკლი ბრაჭული ვალერიან რამიშვილი ნაპოლეონ კვარაცხელია დალი გულიაშვილი მაია ქერქაძე ნანა გულიაშვილი
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მიხეილ ბახტაძე ვაჟა კიკნაძე ბუბა კუდავა
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ინგლისური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ევროპული ენა ინგლისური ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	კლასიკური ან აღმოსავლური ენა ინგლისური ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	გერმანული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი

	გერმანული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ფრანგული ენა A1.1			60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ესპანური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა 2	5		60	45	8	10	2	ესპანური ენა 1		✓	ენების ცენტრის

												მასწავლებელი
	იტალიური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იტალიური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 2	5		60	45	8	10	2	იტალიური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	რუსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა 2	5		60	45	8	10	2	რუსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	შვედური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა 2	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ნორვეგიული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა 2	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	პოლონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა 2	5		60	45	8	10	2	პოლონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)	**10**										

	ქართული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ძველი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ძველი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	ლათინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	არაბული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა 2	5		60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										

	სპარსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა 2	5		60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	თურქული ენა1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა2	5		60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ებრაული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა 2	5		60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იაპონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა 2	5		60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ჩინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი სომხური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მარიამ ჩხარტიშვილი

	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვახტანგ ლიჩელი
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან ხუციშვილი
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ჩიქოვანი
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მაია ციციშვილი
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ცირა ბარამიძე, ჯონი კვიციანი
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თეა შურღაია
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლელა ხაჩიძე, ანა ხარანაული
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა რუსიეშვილი
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლალი ქეცბა-ხუნდაძე
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქეთევან გაბუნია
	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რისმაგ გორდეზიანი
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		თინა დოლიძე
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ანა ჩიქოვანი,
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნათელა ჭოხონელიძე
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ელენე მემმარიაშვილი
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ქეთევან ჭკუასელი ეფემია ხარაძე თამაზ კარანაძე თინათინ დოლიძე
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 35 კრედიტი (ECTS)												
	კავკასიის ხალხთა ისტორია 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. კვიცინი
	კავკასიის ხალხთა ისტორია 2	5	30	30	45	8	9	3	კავკასიის ხალხთა ისტორია 1		✓	ჯ. კვიცინი
	იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება	5	30	30	45	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		ც. ბარამიძე
	კავკასიის ხალხთა ფოლკლორი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. სიხარულიძე

	ქართული ენის თეორიული გრამატიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. გეგუჩაძე
	საბაკალავრო ნაშრომი	10									VIII სემ.	
პირველი მოდულისათვის –აფხაზთმცოდნეობა–სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												
	აფხაზური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. მაჭავარიანი/ ლ. ავიძბა
	აფხაზური ენა 2	5	30	60	15	8	10	2	აფხაზური ენა 1	✓		ნ. მაჭავარიანი/ ლ. ავიძბა
	აფხაზური ენა 3	5	30	60	15	8	10	2	აფხაზური ენა 2		✓	ნ. მაჭავარიანი/ ლ. ავიძბა
	აფხაზური ენა 4	5	30	60	15	8	10	2	აფხაზური ენა 3	✓		ნ. მაჭავარიანი/ ლ. ავიძბა
	აფხაზური ენა 5	5	30	60	15	8	10	2	აფხაზური ენა 4		✓	ნ. მაჭავარიანი/ ლ. ავიძბა
	აფხაზური ფოლკლორი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ტ. მახაური
	აფხაზური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ტ. მახაური
	აფხაზი ხალხის ეთნოგრაფია	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	გ.გოცირიძე
	იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ. რუხაძე
	ზოგადი და იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		
	ხუნძური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. აბაშია
	ჩეჩნური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. ფარეულიძე
მეორე მოდულისათვის – ადიღეური(ჩერქეზული) – სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												
	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	თ. უჯუხუ
	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 2	5	30	60	15	8	10	2	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 1	✓		თ. უჯუხუ
	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 3	5	30	60	15	8	10	2	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 2		✓	თ. უჯუხუ
	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 4	5	30	60	15	8	10	2	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 3	✓		თ. უჯუხუ

	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 5	5	30	60	15	8	10	2	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 4		✓	თ. უჯუხუ
	უბიხური ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რ. ჯანაშია
	ზოგადი და იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		
	ჩეჩნური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. ფარეულიძე
	თაბასარანული ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ც. ბარამიძე
	ხუნძური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. აბაშია
	იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ.რუხაძე
	ჩერქეზი ხალხის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ს.ზედელაშვილი
მესამე მოდულისათვის – ჩეჩნური (ნახური)–სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												
	ჩეჩნური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. ფარეულიძე
	ჩეჩნური ენა 2	5	30	60	15	8	10	2	ჩეჩნური ენა 1	✓		რ. ფარეულიძე
	ჩეჩნური ენა 3	5	30	60	15	8	10	2	ჩეჩნური ენა 2		✓	რ. ფარეულიძე
	ჩეჩნური ენა 4	5	30	60	15	8	10	2	ჩეჩნური ენა 3	✓		რ. ფარეულიძე
	ჩეჩნური ენა 5	5	30	60	15	8	10	2	ჩეჩნური ენა 4		✓	რ. ფარეულიძე
	ინგუშური ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რ. ჩუხუა
	ბაცბური ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	რ. ფარეულიძე
	ხუნძური ენა 1	5	30	60	15	8	9	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. აბაშია
	იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ. რუხაძე
	ზოგადი და იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		
	ვაინახების (ჩეჩნეთ–ინგუშეთის) ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ს. ზედელაშვილი
	აფხაზური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. მაჭავარიანი
მეოთხე მოდულისთვის – დაღესტნური–სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												
	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. აბაშია, ც. ბარამიძე,

	ენა 1											ნ, რუხაძე
	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 2	5	30	60	15	8	10	2	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 1	✓		რ. აბაშია, ც. ბარამიძე, ნ, რუხაძე
	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 3	5	30	60	15	8	10	2	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 2		✓	რ. აბაშია, ც. ბარამიძე, ნ, რუხაძე
	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 4	5	30	60	15	8	10	2	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 3	✓		რ. აბაშია, ც. ბარამიძე, ნ, რუხაძე
	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 5	5	30	60	15	8	10	2	ან ხუნძური, ან თაბასარანული, ან უდიური ენა 4		✓	რ. აბაშია, ც. ბარამიძე, ნ, რუხაძე
	უბიხური ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		რ. ჯანაშია
	იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი		✓	ნ, რუხაძე
	აფხაზური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. მაჭავარიანი, ლ. ავიძბა
	ადიღეური (ჩერქეზული) ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	თ. უჯუხუ
	დაღესტნის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ს. ზედელაშვილი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა (ოსური ენა 1, ასერბაიჯანული ენა 1, ინგუშური ენა 1.)	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	
	ზოგადი და იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		
მეხუთე მოდულისათვის – ოსთმცოდნეობა –სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												
	ოსური ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ი. თიგიევა
	ოსური ენა 2	5	30	60	15	8	10	2	ოსური ენა 1	✓		ი. თიგიევა
	ოსური ენა 3	5	30	60	15	8	10	2	ოსური ენა 2		✓	ი. თიგიევა
	ოსური ენა 4	5	30	60	15	8	10	2	ოსური ენა 3	✓		ი. თიგიევა
	ოსური ენა 5	5	30	60	15	8	10	2	ოსური ენა 4		✓	ი. თიგიევა
	ოსური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ხ. მამისიმედიშვილი

	ოსი ხალხის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ს.ზედელაშვილი
	ოსური ფოლკლორი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ხ. მამისიმედიშვილი
	ოსი ხალხის ეთნოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		გ. გოცირიძე
	ზოგადი და იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		
	აფხაზურ–ადიღურ ენათა ჯგუფიდან ერთ–ერთი ენა (აფხაზური ენა1, ადიღეური ენა1)	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		
	ნახურ–დაღესტნურ ენათა ქვეჯგუფიდან ერთ–ერთი ენა (ხუნძური ენა 1, თაბასარანული ენა 1, ჩეჩნური ენა 1)	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		
მეექვსე მოდულისთვის – აზერბაიჯანთმცოდნეობა – სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												
	აზერბაიჯანული ენა 1	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ე. ასლანოვა
	აზერბაიჯანული ენა 2	5	30	60	15	8	10	2	აზერბაიჯანული ენა 1	✓		ე. ასლანოვა
	აზერბაიჯანული ენა 3	5	30	60	15	8	10	2	აზერბაიჯანული ენა 2		✓	ე. ასლანოვა
	აზერბაიჯანული ენა 4	5	30	60	15	8	10	2	აზერბაიჯანული ენა 3	✓		ე. ასლანოვა
	აზერბაიჯანული ენა 5	5	30	60	15	8	10	2	აზერბაიჯანული ენა 4		✓	ე. ასლანოვა
	აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორია 1	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ. შაყულაშვილი
	აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორია 2	5	30	15	60	8	9	3	აზერბაიჯანული ლიტერატურის ისტორია 1	✓		გ. შაყულაშვილი
	აზერბაიჯანის ისტორია და კულტურა 1	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ს.ზედელაშვილი
	აზერბაიჯანის ისტორია და კულტურა 2	5	30	30	45	8	9	3	აზერბაიჯანის ისტორია და კულტურა 1		✓	ს.ზედელაშვილი
	აზერბაიჯანის მცირერიცხოვან ხალხთა ენები	5	30	15	60	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		ც. ბარამიძე
	აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	აზერბაიჯანული ენა 4		✓	ე. ასლანოვა
	აზერბაიჯანული ფოლკლორი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ტ. მახაური
მეშვიდე მოდულისთვის – კავკასიის ხალხთა ისტორია – სავალდებულო კურსები – 60 კრედიტი												

	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა 1 (აფხაზური ენა 1, ადიღეური ენა 1, ჩეჩნური ენა 1, ხუნძური ენა 1, თაბასარანული ენა 1 უდიური ენა 1, ოსური ენა 1, აზერბაიჯანული ენა 1)	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ. ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა 2 (აფხაზური ენა 2, ადიღეური ენა 2, ჩეჩნური ენა 2, ხუნძური ენა 2, თაბასარანული ენა 2 უდიური ენა 2, ოსური ენა 2, აზერბაიჯანული ენა 2)	5	30	60	15	8	10	2	ერთ–ერთი ენა 1	✓		რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ. ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა 3 (აფხაზური ენა 3, ადიღეური ენა 3, ჩეჩნური ენა 3, ხუნძური ენა 3, თაბასარანული ენა 3, უდიური ენა 3, ოსური ენა 3, აზერბაიჯანული ენა 3)	5	30	60	15	8	10	2	ერთ–ერთი ენა 2		✓	რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ. ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა 4 (აფხაზური ენა 4, ადიღეური ენა 4, ჩეჩნური ენა 4, ხუნძური ენა 4, თაბასარანული ენა 4, უდიური ენა 4, ოსური ენა 4, აზერბაიჯანული ენა 4)	5	30	60	15	8	10	2	ერთ–ერთი ენა 3	✓		რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ. ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა 5(აფხაზური ენა 5, ადიღეური ენა 5, ჩეჩნური ენა 5, ხუნძური ენა 5, თაბასარანული ენა 5, უდიური ენა 5, ოსური ენა 5, აზერბაიჯანული ენა 5.)	5	30	60	15	8	10	2	ერთ–ერთი ენა 4		✓	რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ. ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიის ისტორიული გეოგრაფია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ს. ზედელაშვილი
	კავკასიის ხალხთა სოციოკულტურული ურთიერთობები და თანამედროვეობა (ყოფა და კულტურა)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		გ. გოცირიძე
	კავკასიის არქეოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ვ. ლიჩელი
	კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ლ. ბითაძე
	კავკასიის ხალხთა კულტურა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ჯ. კვიციანი
	კავკასიის ხალხთა ისტორიის წყაროთმცოდნეობა	5	30	15	60	8	9	3	კავკასიის ხალხთა ისტორია	✓		ჯ. კვიციანი

	რელიგია თანამედროვე მსოფლიოში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ქ. ხუციშვილი
სპეციალობის არჩევითი კურსები –ყველა მოდულისათვის – 25კრედიტი (ECTS)												
	ზანური (მეგრულ–ჭანური) ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		მ. ჩუხუა
	რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი. კაპანაძე
	სვანური ენა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ჩუხუა
	თანამედროვე აზერბაიჯანი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ს. ზედელაშვილი
	რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა XV-XX საუკუნეებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		გ. ჟუჟუნაშვილი
	ენობრივი სიტუაცია კავკასიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ც. ბარამიძე
	რუსეთი და კავკასია XVI-XXI სს.	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ჯ. კვიციანი
	საქართველოს ისტორიული საზღვრები და სასაზღვრო სისტემა *(ისტორიის საბაკალავრო პროგრამა)*	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ასისტენტ-პროფესორი ქ. ქუთათელაძე
	ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორია	5	30	15	52	10	15	3	წინაპირობის გარეშე		✓	გიორგი სოსიაშვილი
თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS) *სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.*												

დამატებითი პროგრამა – კავკასიოლოგია (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 50 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემეტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა(აფხაზური ენა 1, ადიღეური (ჩერქეზული)ენა 1, ხუნძური ენა 1, თაბასარანული ენა 1, უდიური ენა 1, ჩეჩნური ენა 1, ოსური ენა 1, აზერბაიჯანული ენა 1)	5	30	60	15	8	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ.ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა(აფხაზური ენა 2, ადიღეური (ჩერქეზული)ენა 2, ხუნძური ენა 2, თაბასარანული ენა 2, უდიური ენა 2, ჩეჩნური ენა 2, ოსური ენა 2, აზერბაიჯანული ენა 2)	5	30	60	15	8	10	2	წინა ეტაპი	✓		რ. აბაშია, თ. უჯუხუ, .ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა (აფხაზური ენა 3, ადიღეური (ჩერქეზული)ენა 3, ხუნძური ენა 3, თაბასარანული ენა 3, უდიური ენა 3, ჩეჩნური ენა 3, ოსური ენა 3, აზერბაიჯანული ენა 3)	5	30	60	15	8	10	2	წინა ეტაპი		✓	რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ.ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა (აფხაზური ენა 4, ადიღეური (ჩერქეზული) ენა 4, ხუნძური ენა 4, თაბასარანული ენა 4, უდიური ენა 4,	5	30	60	15	8	10	2	წინა ეტაპი	✓		რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ.ფარეულიძე, ც. ბარამიძე,

	ჩეჩნური ენა 4, ოსური ენა 4, აზერბაიჯანული ენა 4)											ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიაში გავრცელებული ერთ–ერთი ენა(აფხაზური ენა 5, ადიღეური (ჩერქეზული)ენა 5, ხუნძური ენა 5, თაბასარანული ენა 5, უდიური ენა 5, ჩეჩნური ენა 5, ოსური ენა 5, აზერბაიჯანული ენა 5)	5	30	60	15	8	10	2	წინა ეტაპი		✓	რ. აბაშია, თ. უჯუხუ, რ.ფარეულიძე, ც. ბარამიძე, ნ. რუხაძე, ი. თიგიევი, ე. ასლანოვი
	კავკასიის ხალხთა ისტორია 1	5	30	30	45	45	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ჯ. კვიცინი
	კავკასიის ხალხთა ისტორია 2	5	30	30	45	8			კავკასიის ხალხთა ისტორია 1		✓	ჯ. კვიცინი
	იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება	5	30	30	45	8	9	3	ენათმეცნიერების შესავალი	✓		ც. ბარამიძე
	ენობრივი სიტუაცია კავკასიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ც. ბარამიძე
	კავკასიის ხალხთა ფოლკლორი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ქ. სიხარულიძე
არჩევითი კურსები – დამატებითი პროგრამისათვის 10 კრედიტი (ECTS)												
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი